



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27211341

თარიღი:14/05/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 34

14 მაისი 2021 წ.

ქ. თელავი

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად,

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება - მეორადი ლითონის მილები (დიამეტრი - 530 მმ, სიგრძე - 350 გრძ/მ).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

